

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის



აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
(კატალოგი)

2019

საკონტაქტო ინფორმაცია:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია მისამართი: გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კმ.

ტელ: 577 19 92 05 ვებგვერდი:

www.eta.edu.ge

e-mail: nda@mod.gov.ge

საკონტაქტო პირი:

საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით

ბაკალავრიატის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი გიორგი მეშველიანი

ტელ: 577 19 32 99

სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით

პროფესორი ნიკოლოზ სამხარაძე

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ტელ: 599 117005, e-mail: samkharadze@gmail.com

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში აკადემია) არის სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მქონე სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. აკადემია განთავსებულია ქ. გორში, კეთილმოწყობილ და თანამედროვე სტანდარტებით აგებულ ბაზაზე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი სწავლის, დასვენების, ფიზიკური წრთობისა და განვითარებისათვის.

სწავლა და ცხოვრება სრულად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

- მენეჯმენტი
- ინფორმატიკა
- თავდაცვა და უსაფრთხოება
- მექანიკის ინჟინერია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- თავდაცვის ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე პროგრამაზე დაშვების წინაპირობით განსაზღვრული საგნების(იხ.პროგრამების მიხედვით) ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება). აბიტურიენტს ე.თ.ა.-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT).

აკადემიაში მოქმედი იუნკერის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამებზე იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების“ შესაბამისად.

იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას; დამოუკიდებელ მეცადინეობას; სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას; გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო) მუშაობას; სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას; სხვა სახის საქმიანობას საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იუნკერის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შუალედური გამოცდის და შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით.

ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის როგორც შუალედური შეფასებების, ასევე დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განისაზღვრულია 30%-ით

სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებებისა და შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 45%.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი უფლებამოსილია სასწავლო კურსის სილაბუსში დაადგინოს მოცემული წესისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ხვედრითი წილი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და სამხედრო პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები. ესენია: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სახელწოდება: მენეჯმენტი

კრედიტების მოცულობა: 256

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად):

მენეჯმენტის ბაკალავრი - Bachelor of Management

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარება.

პროგრამის მიზანი

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრთა კორპუსი, მომავალზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს წარმატებით იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში - შექმნან, მართონ და/ან წვლილი შეიტანონ როგორც თავდაცვის ძალების, ასევე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების განვითარებაში. პროგრამის ამოცანაა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ხარისხიანი ცოდნა, რათა შეძლონ სწავლის შემდგომი გაგრძელება საქართველოს ან საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, ჰქონდეთ წარმატებული კარიერული წინსვლა თავიანთი შესაძლებლობების რეალიზების გზით, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს:

- ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა;
- ფილოსოფიის საბაზისო ცნებების, უნივერსალური პრობლემებისა და საკითხების გაცნობიერების უნარი, რაც გულისხმობს განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაპირისპირო თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ანალიზს;
- მართვის მეცნიერების, მათ შორის ზოგადი მენეჯმენტის სფეროს ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების, მათთან დაკავშირებული თანამედროვე მმართველობითი მიდგომების და პრაქტიკული ასპექტების ცოდნა და შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- ზოგადი მენეჯმენტის, სტრატეგიული მენეჯმენტის, საწარმოო ოპერაციების მართვისა და პროგნოზირების, პროექტების მართვის, ფინანსების საფუძვლების, ეკონომიკის პრინციპების, მარკეტინგული და ლოჯისტიკური კონცეფციების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევისა და ლიდერობის, საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯერული აღრიცხვის კონცეფციებისა და პრინციპების ცოდნა და შეუძლია მათი გაცნობიერება;
- ძირითადი მაკრო და მიკრო ეკონომიკური მაჩვენებლების, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების, ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოს ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლების, ორგანიზაციის ეკონომიკური ფუნქციონირების მექანიზმების ცოდნა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტრუმენტების ფუნქციონირების პრინციპების ცოდნა, აცნობიერებს ინფორმაციული სისტემის მნიშვნელობას მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის ორგანიზაციის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;
- ორგანიზაციული ქცევის ძირითადი ცნებების, პრინციპების და კატეგორიების ცოდნა, შეუძლია ორგანიზაციული ქცევის ეკონომიკური და ფსიქო-ემოციური საკითხების კრიტიკული გააზრება.

კურსდამთავრებული:

- იცნობს ალბათურ-სტატისტიკურ მეთოდებს, ფილოსოფიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ლოგიკის და კრიტიკული აზროვნების, სახელმწიფო მოწყობისა და სამართლის საფუძვლებს, რითაც გააძლიერებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და შექმნის დამატებით საფუძვლებს შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის:

- ოცულის საერთო საჯარისო ტაქტიკის საფუძვლები;
- ოცულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების საფუძვლები;
- საპატრულო ოპერაციების შესრულების საფუძვლები;
- ოპერაციების დაგეგმვა, საერთო საჯარისო ქვედანაყოფებისა და ელემენტების ინტეგრირებით, შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში;
- სამხედრო სამართლის კანონები;
- ქვედანაყოფის მართვის პროცედურები;
- ადმინისტრაციულ დოკუმენტებთან მუშაობისა და კოლექტიური დავალებების შესრულების წესები.
- სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში.
- ოცულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულება, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;
- ქვეითი ოცულის ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლის წესები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება;
- ორგანიზაციის ფუნქციონალური და/ან ოპერაციული სფეროს წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა, პრობლემის გადასაჭრელად დასაბუთებული მეთოდის გამოყენება;
- მენეჯერული პროცესის მონაწილეების პროფესიული განსაზღვრა, ორგანიზაციის წინაშე მდგარი თანამედროვე მმართველობითი პრობლემების აღმოჩენა და მათი ობიექტურად გადაჭრა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- პროფესიულ საქმიანობაში მენეჯმენტის სფეროსთვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება, თანამედროვე მარკეტინგული, ფინანსური, ეკონომიკური და სხვ. მონაცემების შეგროვება, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინება, შესაძლებლობების ობიექტურად განსაზღვრა;
- პროექტის კონცეფციის შედგენა და მისი განხორციელებადობის შეფასება, პროექტის სტრუქტურის (მიზნები, ქვემიზნები, სასიცოცხლო ციკლი და ფაზები, სამუშაოები, პროექტის შედეგები) დადგენა და მისი შესრულების ვადებისა და შესაბამისი რესურსების განსაზღვრა, პროექტის შესრულების მონიტორინგი;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება ორგანიზაციული სისტემების შემუშავებაში, რომელიც უზრუნველყოფს მასალების, ადამიანური რესურსების, მოწყობილობებისა და საწარმოო შენობების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებას პროდუქტის შექმნისა და/ან მომსახურების გაწევის პროცესში;
- საწარმოო და შესყიდვების ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, შესყიდვების დაგეგმვა; რაციონალური მატერიალური ნაკადების განსაზღვრა; მატერიალური მარაგების მოძრაობის ეფექტიანი მართვა და ლოჯისტიკური ამოცანების გადაჭრა მომარაგების სისტემაში;
- ორგანიზაციის ფუნქციონალურ ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობის შექმნა, ადამიანური რესურსების მუშაობის ორგანიზება და მართვა შრომითი პროცესების დაგეგმვის და მოტივაციის ცნობილი მეთოდების გამოყენებით;
- მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და მისი მიზანშეწონილობის დადგენა (გარემოს ანალიზით, ბაზრის მომხმარებლების შესწავლით, მიზნობრივი სეგმენტის შერჩევითა და პოზიციონირების შესაძლებლობებით); მარკეტინგის კომპლექსის ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება;
- ფინანსური ხასიათის კვლევითი ან პრაქტიკული ამოცანების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და შეფასება, მონაწილეობა ბიუჯეტის და საბუღალტრო ბალანსის შედგენაში.
- დაკისრებული დავალების შესრულების მიზნით, დაქვემდებარებულთა გაძლიერება/ლიდერობა;
- ფუნდამენტალური სამხედრო უნარ-ჩვევებისა და ზოგადი სამხედრო თეორიის დემონსტრირება;
- ოპერაციების განხორციელება შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის კანონების გათვალისწინებით;
- ოცეულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება გარემოს ნებისმიერ პირობებში;
- ლოჯისტიკური უზრუნველყოფის, საარტილერიო ცეცხლის გამოძახებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში;
- ოცეულის ოპერატიული ბრძანებების შემუშავება, გაცემა და აღსრულება;
- ოცეულის ზომის ქვედანაყოფის სამართლებრივი და ტაქტიკურ-ტექნიკური მართვა, მშვიდობიანობისა და ომიანობის პერიოდში ბრძოლების მოკლე ანალიზის გაკეთება;
- ანტიკორუფციული პრინციპების დაცვა;
- გენდერული პრინციპების დაცვა.

- სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში.
- სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნების შესრულება უსაფრთხოების წესების დაცვით და ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღების საბრძოლო გამოყენება;
- ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ნორმალურ მოხვედრებამდე მიყვანა, ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის აღმოფხვრა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მენეჯმენტის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკავება და ერთმანეთთან შედარება; არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და ანალიზის საფუძველზე მათი გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომების დასაბუთება, ზოგადი პრობლემების გადაჭრის მიზნით კრიტიკული აზროვნების გამოყენება;
- ეკონომიკის საფუძვლების შინაარსში, ეკონომიკის ძირითად მიმართულებებში ორიენტირება; ქვეყნის მაკრო და მიკრო ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ობიექტური შეფასება, ბიზნეს გარემოს ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მართვის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან ბიზნესსიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება;
- ალტერნატივების ურთიერთშედარება და გააზრებული არჩევანის გაკეთება, ორგანიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება;
- მმართველობითი ფუნქციების განხორციელების აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა და მათი შემდგომი ანალიზი;
- თანამედროვე მარკეტინგული მონაცემების მოძიება და ანალიზი, ბაზრის კვლევა, მისი შესაძლებლობების ობიექტურად განსაზღვრა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შეფასება; სააღრიცხვო ობიექტების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- მასზე დაკისრებული ამოცანის ანალიზი, ხელთ არსებული შესაძლებლობებისა და ვითარებიდან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში;
- შესწავლილი საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების შედეგად, სიტუაციების ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადექვატური ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისთვის;
- პროფესიული კომუნიკაცია, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, პარტნიორებთან საქმიანი მოლაპარაკებების წარმოების გზით;
- ამომწურავი წერილობითი ანგარიშების მომზადება საკუთარი პროფესიული საქმიანობის შედეგების აღწერით;
- მიზნობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობა და ცოდნის წარმოჩენა;
- დებატებში ჩართვა და სხვისი აზრის პატივისცემა;
- გუნდური მუშაობისას წევრებს შორის კომუნიკაცია;

- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადექვატური, ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც ზემდგომებისთვის, ისე დაქვემდებარებულებისთვის;
- ქვედანაყოფის მართვის პროცედურების შესრულების შედეგად ოპერატიული ბრძანების გამოცემისას სათანადო კომუნიკაციის დამყარება.
- მიღებული ცოდნის გამოყენება ჯგუფური მუშაობისთვის.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ცოდნის მუდმივი სრულყოფის მნიშვნელობის გაცნობიერება და სწავლის საჭიროებების დადგენა;
- მენეჯმენტის სფეროში ცვლილებების, მეცნიერული სიახლეების მიდევნება, ცოდნის და უნარების მუდმივად განახლება;
- ცვალებად გარემოში და კონკრეტულ ბიზნეს სიტუაციებში სწრაფი ორიენტირებისათვის, საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასება და სწავლის შემდგომი გაღრმავების საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი ქვედანაყოფის მოთხოვნებიდან გამომდინარე მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების თანმიმდევრული და მრავალმხრივად შეფასება და თვითგანვითარების დაგეგმვა;
- ცოდნის გაღრმავების მიზნით იმ ძირითადი საკითხების, უნარებისა და მიმართულებების განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში და ეფექტურად მართოს ოცეულის ზომის ქვედანაყოფი.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს აქვს:

- საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობისა და ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის გრძობა, ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- საბაზრო ლიბერალიზმის ღირებულებების (რომელთა მიზანია საზოგადოების უღარიბესი წევრების დახმარება; უტილიტარიზმი, ლიბერალიზმი და სხვ.) ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია.

შეუძლია:

- საკუთარ საქმიანობაში ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმებით ხელმძღვანელობა, აგრეთვე ისეთი ზოგად-პროფესიული ღირებულებებით, როგორცაა სამართლიანობა, სიზუსტე, კორექტულობა, პუნქტუალობა, ობიექტურობა, გულისხმიერება, გამჭვირვალობა, ორგანიზებულობა;
- საკუთარი და სხვისი პოზიციის დაცვა-პატივისცემა; კორექტული ქცევა, ფლობს პასუხისმგებლობას; საკუთარ თავში დაჯერებულობას; თვითკონტროლს; ადამიანებისადმი დახმარების მისწრაფებას სოციალურ-ფსიქოლოგიური რეადაპტაციისათვის;
- ბაზრის, სამეწარმეო ფირმის მარკეტინგული გარემოს, მომხმარებლების საჭიროებების შესწავლისა და მიზნობრივი მომხმარებლების შერჩევის პროცესში პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება;
- საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმების გათავისება და საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალეთიკური ნორმების დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრება; განსხვავებული კულტურული და რელიგიური ღირებულებების პატივისცემა; ახალი, გლობალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- სამხედრო თავაზიანობისა და სუბორდინაციის ნორმების დამკვიდრება;
- სამხედრო დისციპლინით განსაზღვრული წესებისადმი პატივისცემა, როგორც სახელმწიფო ძლიერების საფუძველი;
- მაღალი თვითშეგნება, როგორც საქართველოს თავდაცავის ძალების ოფიცრისა, ნებისმიერ გარემოში ემსახუროს სამშობლოს.

პროგრამის სახელწოდება: ინფორმატიკა

კრედიტების მოცულობა: 263

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად):

ინფორმატიკის ბაკალავრი - Bachelor of Informatics

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარება.

პროგრამის მიზანი

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვი ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, უზრუნველყოს ინფორმატიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება თავდაცვის ძალების და ქვეყნის სამსახურისათვის, რომელთაც ექნებათ ოფიცრის წოდება.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, შეძლონ დასაქმება საქართველოს თავდაცვის ძალებში, ასევე სამოქალაქო სექტორში. კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეძლებენ წარმატებულ კარიერულ წინსვლას და თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამა მოიცავს ინფორმატიკის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას (თეორიული, ტექნიკური, პრაქტიკული, გამოყენებითი). მთავარი აქცენტი გაკეთებულია ინფორმატიკი პრაქტიკულ და გამოყენებით კომპონენტებზე, ანუ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას როგორც თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში, ისე საქართველოს და საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების საკითხებს, რაც 21-ე საუკუნეში ინფორმატიკის ყოველი სპეციალისტის, მათ შორის ამ სფეროში მომუშავე მომავალი ქართველი ოფიცრების მაღალი კვალიფიკაციის ერთერთ უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული დაეუფლება:

- ინფორმატიკის ფუნდამენტურ პრინციპებს, კონცეფციებს და თეორიებს;

- ფუნდამენტურ ალგორითმებს და თანამედროვე დაპროგრამების ენებს;
- საინფორმაციო სისტემების (მონაცემთა ბაზების), კომპიუტერული ქსელების და ქსელური ტექნოლოგიების ფუნქციონირების და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპებს;
- ინფორმაციული სისტემების პროგრამულ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ უზრუნველყოფასა და ინფორმაციული უსაფრთხოებას;
- კურსდამთავრებულებს შეეძენებათ ზოგად-სისტემური წარმოდგენა ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების სტრუქტურაზე, შექმნისა და ანალიზის პროცესზე;
- კურსდამთავრებულს ექნება ტექნიკური, ჰუმანიტარული, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა;

კურსდამთავრებულმა იცის:

- ოცულის საერთო საჯარისო ტაქტიკის საფუძვლები;
- ოცულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების საფუძვლები;
- საპატრულო ოპერაციების შესრულების საფუძვლები;
- ოპერაციების დაგეგმვა, საერთო საჯარისო ქვედანაყოფებისა და ელემენტების ინტეგრირებით, შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში;
- სამხედრო სამართლის კანონები;
- ქვედანაყოფის მართვის პროცედურები;
- ადმინისტრაციულ დოკუმენტებთან მუშაობისა და კოლექტიური დავალებების შესრულების წესები.
- სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში.
- ოცულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულება, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;
- ქვეითი ოცულის ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლის წესები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულებს შეეძლება:

- მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება;
- დასმული ამოცანის გადასაჭრელად ალგორითმის შერჩევა და მისი პროგრამული რეალიზება;
- სხვადასხვა დანიშნულების ინფორმაციული სისტემების დაპროექტება, პროგრამული რეალიზება და ადმინისტრირება;
- სხვის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დანიშნულების პროგრამული სისტემების გამოყენება კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;
- სხვადასხვა მასშტაბის და დანიშნულების კომპიუტერული ქსელის დაგეგმვა და ადმინისტრირება;
- მონაცემთა ბაზების შექმნა, პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად;
- კომპიუტერული სისტემების, საინფორმაციო სისტემების, სხვადასხვა დონის კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონების გამოყენება, კამათის ზნეობრივ ჩარჩოებში წარმართვა, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დასაბუთება.
- სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად;
- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- დაკისრებული დავალების შესრულების მიზნით, დაქვემდებარებულთა გაძღოლა/ლიდერობა;
- ფუნდამენტალური სამხედრო უნარ-ჩვევებისა და ზოგადი სამხედრო თეორიის დემონსტრირება;
- ოპერაციების განხორციელება შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის კანონების გათვალისწინებით;
- ოცულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება გარემოს ნებისმიერ პირობებში;
- ლოჯისტიკური უზრუნველყოფის, საარტილერიო ცეცხლის გამოძახებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენება ოცულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში;
- ოცულის ოპერატიული ბრძანებების შემუშავება, გაცემა და აღსრულება;

- ოცეულის ზომის ქვედანაყოფის სამართლებრივი და ტაქტიკურ-ტექნიკური მართვა, მშვიდობიანობისა და ომიანობის პერიოდში ბრძოლების მოკლე ანალიზის გაკეთება;
- ანტიკორუფციული პრინციპების დაცვა;
- გენდერული პრინციპების დაცვა.
- სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში.
- სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნების შესრულება უსაფრთხოების წესების დაცვით და ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღების საბრძოლო გამოყენება;
- ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ნორმალურ მოხვედრებამდე მიყვანა, ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის აღმოფხვრა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

- სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ინფორმატიკის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, იდენტიფიცირება, განმარტება, დამუშავება, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, ანალიზი და სინთეზი;
- პრობლემის გადაჭრის მიზნით კრიტიკული აზროვნება;
- პრობლემის რაოდენობრივი მახასიათებლების გაანალიზება, ახსნა, იდენტიფიცირება და დასკვნის ჩამოყალიბება;
- მასზედ დაკისრებული ამოცანის ანალიზი, ხელთ არსებული შესაძლებლობებისა და ვითარებიდან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში.
- შესწავლილი საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების შედეგად, სიტუაციების ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება ქართულ და ინგლისურ/ენებზე, დამკვიდრებული ტერმინოლოგიისა და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით. მათი ზეპირი და წერილობითი გადაცემა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიულ დონეზე გამოყენებით, კოლეგებთან და პარტნიორებთან საქმიანი მოლაპარაკებების წარმოება;
- ამომწურავი წერილობითი ანგარიშის მომზადება პროფესიული საქმიანობის შედეგების აღწერით;
- გუნდური მუშაობისას წევრებს შორის კომუნიკაცია;
- აუდიტორიასთან ურთიერთობა და ცოდნის წარმოჩენა;
- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადეკვატური, ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც ზემდგომებისთვის, ისე დაქვემდებარებულებისთვის;
- მიღებული ცოდნის გამოყენება ჯგუფური მუშაობისთვის
- ქვედანაყოფის მართვის პროცედურების შესრულების შედეგად ოპერატიული ბრძანების გამოცემისას სათანადო კომუნიკაციის დამყარება;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

- სწრაფვა ცოდნის მუდმივი განახლებისა და უნარების სრულყოფისაკენ;
- მოწინავე გამოცდილების მიღება და თანამედროვე ინფორმაციის გააზრება;
- პროფესიული ზრდის მოთხოვნილების გამომუშავება;
- საკუთარი და საერთო სწავლის პროცესის თანმიმდევრულად, მრავალმხრივად შეფასება და სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე
- ცოდნის გაღრმავების მიზნით იმ ძირითადი საკითხების, უნარებისა და მიმართულებების განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს ეფექტურად მართოს ოცეულის ზომის ქვედანაყოფი;
- საკუთარი ქვედანაყოფის მოთხოვნებიდან გამომდინარე მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების თანმიმდევრული და მრავალმხრივად შეფასება და თვითგანვითარების დაგეგმვა;

ღირებულებები

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

- პროფესიული საქმიანობა წარმართონ პიროვნული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, ორგანიზებულობა და სხვ.) დაცვით;
- შეძენილი ცოდნით სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა;
- დებატებში ჩართვა და სხვისი აზრის პატივისცემა;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრება; განსხვავებული კულტურული და რელიგიური ღირებულებების პატივისცემა; ახალი, გლობალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- სამხედრო თავაზიანობისა და სუბორდინაციის ნორმების დამკვიდრება;
- სამხედრო დისციპლინით განსაზღვრული წესებისადმი პატივისცემა, როგორც სახელმწიფო ძლიერების საფუძველი;
- მაღალი თვითშეგნება, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრისა, ნებისმიერ გარემო პირობებში ემსახუროს სამშობლოს.

პროგრამის სახელწოდება: თავდაცვა და უსაფრთხოება

კრედიტების მოცულობა: 259

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად):

თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი - Bachelor of Defense and Security

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

თავდაცვა და უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარება.

პროგრამის მიზნებია:

თავდაცვის და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- კომპლექსური ცოდნის მიღება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების შესახებ გლობალურ და ეროვნულ დონეზე;
- საგარეო პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროებში უსაფრთხოების ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შექმნა, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების საბაზისო უნარების განვითარება პრაქტიკაში გამოყენებისთვის.

აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, დასაქმდნენ საქართველოს თავდაცვის ძალებში ან/და სამოქალაქო სექტორში, შეძლონ სწავლის გაგრძელება, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამებზე. იყვნენ კონკურენტუნარიანი ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. შეძლონ წარმატებული კარიერული წინსვლა და თავისი შესაძლებლობების რეალიზება, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს:

- თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;
- საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული მიდგომების და თანამედროვეობის გამოწვევების ცოდნა.

კურსდამთავრებულმა იცის:

- ოცეულის საერთო საჯარისო ტაქტიკის საფუძვლები;
- ოცეულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების საფუძვლები;
- საპატრულო ოპერაციების შესრულების საფუძვლები;
- ოპერაციების დაგეგმვა, საერთო საჯარისო ქვედანაყოფებისა და ელემენტების ინტეგრირებით, შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში;
- სამხედრო სამართლის კანონები;
- ქვედანაყოფის მართვის პროცედურები;
- ადმინისტრაციულ დოკუმენტებთან მუშაობისა და კოლექტიური დავალებების შესრულების წესები
- სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში.
- ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულება, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;
- ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლის წესები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საგარეო და საშინაო პოლიტიკური მოვლენების, არსებული საფრთხეების შეფასება და პრევენციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;
- სხვადასხვა ქცევითი სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების პრევენციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის მიზნით;
- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- დაკისრებული დავალების შესრულების მიზნით, დაქვემდებარებულთა გაძღოლა/ლიდერობა;
- ფუნდამენტალური სამხედრო უნარ-ჩვევებისა და ზოგადი სამხედრო თეორიის დემონსტრირება;
- ოპერაციების განხორციელება შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის კანონების გათვალისწინებით;
- ოცეულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება გარემოს ნებისმიერ პირობებში;

- ლოჯისტიკური უზრუნველყოფის, საარტილერიო ცეცხლის გამოძახებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში;
- ოცეულის ოპერატიული ბრძანებების შემუშავება, გაცემა და აღსრულება;
- ოცეულის ზომის ქვედანაყოფის სამართლებრივი და ტექტიკურ-ტექნიკური მართვა, მშვიდობიანობისა და ომიანობის პერიოდში ბრძოლების მოკლე ანალიზის გაკეთება;
- ანტიკორუფციული პრინციპების დაცვა;
- გენდერული პრინციპების დაცვა.
- სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში
- სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნების შესრულება უსაფრთხოების წესების დაცვით და ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღების საბრძოლო გამოყენება;
- ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ნორმალურ მოხვედრებამდე მიყვანა, ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის აღმოფხვრა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მსოფლიოს და ეროვნულ დონეზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ანგარიშების შედგენა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების წარმოშობის მიზეზების გაანალიზება და შეფასება პოლიტიკურ და კულტურულ ჭრილში;
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საბაზისო დიზაინის შედგენა.
- მასზე დაკისრებული ამოცანის ანალიზი, ხელთ არსებული შესაძლებლობებისა და ვითარებიდან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში.
- შესწავლილი საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების შედეგად, სიტუაციების ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება ქართულ და ინგლისურ/ენებზე, დამკვიდრებული ტერმინოლოგიისა და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით. მათი ზეპირი და წერილობითი გადაცემა;
- საქმიანი ურთიერთობების წარმოება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ამომწურავი წერილობითი ანგარიშის მომზადება პროფესიული საქმიანობის შედეგების აღწერით;
- გუნდური მუშაობა და წევრებს შორის კომუნიკაცია;

- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადექვატური, ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც ზემდგომებისთვის, ისე დაქვემდებარებულებისთვის;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- მიღებული ცოდნის გამოყენება ჯგუფური მუშაობისთვის
- ქვედანაყოფის მართვის პროცედურების შესრულების შედეგად ოპერატიული ბრძანების გამოცემისას სათანადო კომუნიკაციის დამყარება;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი და ზოგადად, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად, მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე.
- ცოდნის გაღრმავების მიზნით იმ ძირითადი საკითხების, უნარებისა და მიმართულებების განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს ეფექტურად მართოს ოცეულის ზომის ქვედანაყოფი;
- საკუთარი ქვედანაყოფის მოთხოვნებიდან გამომდინარე მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების თანმიმდევრული და მრავალმხრივად შეფასება და თვითგანვითარების დაგეგმვა;

ღირებულებები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პროფესიული საქმიანობის წარმართვა პიროვნული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრება; განსხვავებული კულტურული და რელიგიური ღირებულებების პატივისცემა; ახალი, გლობალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- სამხედრო თავაზიანობისა და სუბორდინაციის ნორმების დამკვიდრება;
- სამხედრო დისციპლინით განსაზღვრული წესებისადმი პატივისცემა, როგორც სახელმწიფო ძლიერების საფუძველი;
- მაღალი თვითშეგნება, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრისა, ნებისმიერ გარემო პირობებში ემსახუროს სამშობლოს.

პროგრამის სახელწოდება: მექანიკის ინჟინერია

კრედიტების მოცულობა: 257

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად):

ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში

Bachelor of Engineering(BEng) -in Mechanical Engineering

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარება.

პროგრამის მიზანი

მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, უზრუნველყოს „ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში“ აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება თავდაცვის ძალების და ქვეყნის სამსახურისთვის.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, შეძლონ დასაქმება საქართველოს თავდაცვის ძალებში დაასევე სამოქალაქო სექტორში.

კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეძლებენ წარმატებულ კარიერულ წინსვლას და თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამა მოიცავს მექანიკის ინჟინერიის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას. აქცენტი გაკეთებულია მექანიკის ინჟინერიის პრაქტიკულ შესწავლაზე, თანამედროვე და სამხედრო ტექნოლოგიებზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას, როგორც თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში, ისე საქართველოს და საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- აღწერს მექანიკის ინჟინერიის ფუნდამენტურ პრინციპებს, კონცეფციებს, თეორიებს, კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის ზოგიერთ უახლოეს ასპექტებს. გადმოცემს მექანიკის ინჟინერიის სფეროს მიღწევებსა და სიახლეებს;
- განმარტავს საგანმანათლებლო პროგრამით გათავლისწინებული ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ძირითად საკითხებს, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების ზოგიერთ ასპექტებს.
- ახსნის საგანმანათლებლო პროგრამით გათავლისწინებული ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ზოგადსაინჟინრო მეცნიერების ძირითად საკითხებს და უახლოეს ასპექტებს;
- აღწერს მექანიზმების, მანქანებისა და სისტემების მუშაობის პრინციპებს;
- ახსნის მექანიზმებში, მანქანებსა და სისტემებში მიმდინარე პროცესებს;
- აღწერს საინჟინრო ნახაზების შექმნისა და კონსტრუირების პრინციპებსა და მეთოდებს;
- დაახასიათებს მასალებს და აღწერს მასში მიმდინარე პროცესებს;
- აღწერს საწარმოო პროცესებს და საწარმოთა ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- ჩამოთვლის მანქანა-სანადგარების ექსპლუატაციის და მათთან მუშაობისას უსაფრთხოების დაცვის წესებს;
- დაახასიათებს მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკურ შესაძლებლობებს.
- გადმოცემს ოცულის დონის საერთო საჯარო ტაქტიკის საკითხებს;
- აღწერს სამხედრო ტოპოგრაფიის ძირითად ელემენტებს;
- აღწერს ოპერაციების დაგეგმვის და ქვედანაყოფის მართვის პროცედურებს;
- განმარტავს ადმინისტრაციულ დოკუმენტებთან მუშაობის წესებს და სამხედრო სამართლის ძირითად კანონებს;
- დაახასიათებს ცეცხლსასროლი იარაღის და სამხედრო ტექნიკის საბრძოლო შესაძლებლობებს.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახორციელებს წერით და სალაპარაკო კომუნიკაციას პროფესიულ დონეზე საკუთარი მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების გადმოსაცემად როგორც ქართულ ისე უცხოურ ენაზე, როგორც სპეციალისტებთან, იდე არასპეციალისტებთან;
- გაიანგარიშებს, დააპროექტებს და დაამზადებს მექანიზმებს, მანქანებს, სისტემებს და ნაკეთობებს;
- ჩაატარებს ლაბორატორიულ ცდებს, დააკვირდება ფიზიკურ მოვლენებს და აწარმოებს გაზომვებს.
- დაგეგმავს საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესებს და გააკონტროლებს მის განხორციელებას;
- შექმნის ნახაზებს, ესკიზებსა და სქემებს. ახორციელებს კომუნიკაციას საინჟინრო გრაფიკული ელემენტებისა და დოკუმენტაციის გამოყენებით;
- გამოიყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს მონაცემთა დამუშავების, ნახაზებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შექმნისას;
- იმსჯელებს არგუმენტირებულად თეორიული დებულებებისა და პრინციპების შესახებ, გამოიყენებს ლოგიკური აზროვნების ძირითად კანონებს, ჩამოაყალიბებს და დაასაბუთებს საკუთარ პოზიციას;

- დაიცავს ტექნოლოგიური პროცესების მუშაობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებს;
- მოიძიებს ინფორმაციას და შეაგროვებს მონაცემებს, დაამუშავებს, გააკეთებს ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით, ჩამოყალიბებს ლოგიკურ დასკვნებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს;
- შეაფასებს სისტემის მუშაობის ეფექტურობას. შეამოწმებს პროდუქციის ხარისხს;
- შეაფასებს მექანიკის ინჟინერიის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, შეაჯერებს მიღებულ შედეგებს, გააკეთებს დასკვნებს და პროგნოზებს, შესაბამისი სოციალური და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;
- გადაჭრის რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებსა და ამოცანებს;
- განახორციელებს საინჟინრო, კვლევითი ხასიათის პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. გამოიყენებს ინოვაციური მიდგომის პრინციპებსა და კრიტიკულ აზროვნების მეთოდებს ახალი იდეებისა და საინჟინრო ამოცანების შემუშავებისას;
- გაუძღვება დაქვემდებარებულ პირებსა და ქვედანაყოფებს დაკისრებული დავალების შესრულების მიზნით და მოახდენს ფუნდამენტალური სამხედრო უნარ-ჩვევების დემონსტრირებას;
- დაგეგმავს ოცეულის თავდასხმით და თავდაცვით ოპერაციებს. მართავს ოცეულის დონის ქვედანაყოფს გარემოს ნებისმიერ პირობებში;
- გამოიყენებს მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებს ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში;
- შეიმუშავებს, გაცემს და შეასრულებს ოცეულის ოპერატიულ ბრძანებებს;
- შეასრულებს სახმელეთო ნავიგაციას დღის და ღამის პირობებში;
- გამოიყენებს ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლ იარაღს.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- დამოუკიდებლად გადაწყვეტს და პასუხისმგებლობით მოეკიდება მექანიკის ინჟინერიის სფეროს ამოცანებს;
- წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიულ საქმიანობას კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში ეთიკის და პიროვნული ღირებულებების დაცვით;
- აიღებს პასუხისმგებლობას მექანიკის ინჟინერიის სფეროს საქმიანობაში სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე;
- განსაზღვრავს როგორც საკუთარი, ისე სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის ცოდნის განახლების და სწავლის გაგრძელების საჭიროებას და მიმართულებას; ხელს შეუწყობს მის განხორციელებას;
- პატივს ცემს სხვის აზრს კამათის, დებატების და სხვა სამუშაო ურთიერთობის დროს;
- გაიაზრებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, პატივს ცემს განსხვავებულ კულტურულ ღირებულებებს, მიიღებს მონაწილეობას ღირებულებების ფორმირების პროცესში;
- დაამკვიდრებს და დაიცავს სამხედრო თავაზიანობისა და სუბორდინაციის ნორმებს. პატივს ცემს სამხედრო დისციპლინით განსაზღვრულ წესებს, როგორც სახელმწიფო ძლიერების საფუძველს;
- შეძენილი ცოდნით დაიცავს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. განავითარებს საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრის მაღალ თვითშეგნებას, ნებისმიერ პირობებში ემსახუროს სამშობლოს.

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება და ა.შ. სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კრედიტების მოცულობა: 120

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): თავდაცვის ანალიზის მაგისტრი – Master in Defence Analysis.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად:

- მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებგვერდზე მისაღები გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე). საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- სამხედრო მოსამსახურეები დამატებით აბარებენ სამეთაურო საშტაბო პროგრამის მისაღებ გამოცდას
- კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ინგლისური ენის გამოცდა (მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2;2) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- გაიარონ გასაუბრება (მხოლოდ სამოქალაქო პირებისათვის)

სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები.

ა) „მაიორი“-ს და „ვიცე-პოლკოვნიკი“-ს სამხედრო წოდებით - რომლებსაც გავლილი აქვთ კაპიტნის საკარიერო კურსი ან მასთან გათანაბრებული სამხედრო განათლების პროგრამა*, მინიჭებული აქვთ არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზღვრულ ასაკამდე დარჩენილი აქვთ არანაკლებ 5 წლისა, არ აქვთ დამთავრებული სამეთაურო საშტაბო კურსი ან/და მისი უცხოური ექვივალენტი;

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) პირები, რომლებსაც გააჩნიათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება.
3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა არის 15.
 - 3.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები - 8 სამხედრო მოსამსახურე.
 - 3.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები - 7 სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) პირი.
4. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს რომელთაც წარმატებით გადალახეს საგამოცდო მინიმუმი მისაღებ გამოცდებში. თუკი ამგვარი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე.
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოდან და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან წარმოდგენილი კანდიდატები პროგრამაზე ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგამოცდო მინიმუმის გადალახვის შემთხვევაში პრიორიტეტი ჩაირიცხვაზე მიენიჭება სტრუქტურულ კუთვნილებას (თითოეული სტრუქტურიდან 1 პირი, რათა მიღწეული იქნას მაქსიმალური წარმომადგენლობითი მრავალფეროვნება).
6. რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის

შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე).

შენიშვნა:

* საქართველოს თავდაცვის მინისტრის 08/05/2014 წლის ნომერ MOD81400000595 ბრძანების თანახმად „ოფიცერთა სამხედრო განთლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ (მუხლი 12, 3-ე ქვეპუნქტი) ოფიცრებს ვიცეპოლკოვნიკის სამხედრო წოდებით, რომლებსაც სრულად არა აქვთ გავლილი ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების პროგრამები 2017 წლის ჩათვლით ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მისაღებ გამოცდებში და კონკურსის შედეგად ჩაირიცხონ აღნიშნულ პროგრამაზე.

პროგრამის მიზანი:

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება თავდაცვის ანალიზის სპეციალიზაციით

- კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ უპასუხონ საქართველოს თავდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებს.
- მონაწილეობა მიიღონ სამხედრო პოლიტიკისა და თავდაცვითი სტრატეგიის დახვეწასა და მათ სათანადო განხორციელებაში.
- გამოიყენონ მიღებული განათლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულები მიიღებენ მრავალმხრივ განათლებას თავდაცვის ანალიზში, სოციალურ და სამხედრო მეცნიერებებში.

კურსდამთავრებულებს ექნებათ:

- თავდაცვის ანალიზის, კონცეფციებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას შეიმუშაონ ან მონაწილეობა მიიღონ ახალი თეორიებისა და კონცეფციების შემუშავების პროცესში:

- მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო მეთოდების ცოდნა; ეცოდინებათ პრობლემის გადაჭრის მეთოდოლოგია, ოპერატიული დიზაინი და ინფორმაციის მართვა
- თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების ცოდნა, რაც მისცემთ მათ ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. ისინი შეძლებენ დასახული ამოცანების შესრულებისა და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო გზების გაცნობიერებას.
- ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების ცოდნა და გაცნობიერება, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ სამხედრო გადაწყვეტილების პროცესისა და ოპერატიული დიზაინის წარმართვის სწორი მიმართულებების გაცნობიერებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ნასწავლი მეთოდების შემოქმედებითად გამოყენება. სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მათ შეეძლებათ:

- საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირება სრული სპექტრის ოპერაციებში
- შესაფერისი მოდელებისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდების სწორად შერჩევა ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისათვის.
- საბრძოლო ძალის ელემენტების კოორდინირება კომპლექსური პრობლემების აღმოსაფხვრელად. დეცენტრალიზებული მართვის პირობებში დამოუკიდებელი და ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღება.
- მონაცემებისა და მტკიცებულებების დამუშავება ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს ალტერნატივებს გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.
- თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამ მიმართულებით კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. სამხედრო სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად სხვადასხვა ალტერნატივების იდენტიფიცირება და მათი განხორციელების დაგეგმვა;
- უსაფრთხოების საკითხების გადაჭრის მიზნით თეორიული მოდელების შექმნა, გამოცდა და შეფასება.
- თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენება დასახული ამოცანების შესასრულებლად და წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად

- ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების საფუძველზე სამხედრო გადაწყვეტილების პროცესის და ოპერატიული დიზაინის სწორი მიმართულებით წარმართვა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ინფორმაციის მართვას და ანალიზს სრული სპექტრის ოპერაციების დროს
- სწრაფად ცვალებად გარემოში, არასრული ინფორმაციული სურათის პირობებშიც კი კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორი და ლოგიკურად არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას
- რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების სიღმისეულ ანალიზს;
- თავდაცვის ანალიზის მიმართულებით მონაცემების თავმოყრას, დახარისხებას და სინთეზს და გადაწყვეტილებების მიღებისას მეორე და მესამე რიგის ეფექტების გათვალისწინებას
- პირველადი ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისთვის სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებას; მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული საფუძვლიანი დასკვნების ჩამოყალიბებასა და დაცვას;
- პრობლემებისა და კონფლიქტების გამოვლენას თეორიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და კანონის გატარების დროს; სამხედრო და პოლიტიკური თეორიების გამოყენებით ამომწურავი ანალიზის ჩატარებას;
- მონაცემებთან დაკავშირებით დასკვნების თავმოყრას, გაანალიზებასა და ჩამოყალიბებას სათანადო სისტემებისა და მეთოდების გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით კვლევის წარმოების დროს იდეების, ინფორმაციის, მონაცემებისა და თეორიების სინთეზს. ექსპერტებისა და თავდაცვის ანალიზით დაინტერესებული პირებისთვის საკუთარი კვლევის შედეგების ლოგიკურ, სტრუქტურირებულ და თანამიმდევრულ გადაცემას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმითქართულ და ინგლისურ ენებზე;
- დეტალური წერილობითი მოხსენებებისა და რეკომენდაციების მომზადებას, რომლებიც უკავშირდება თავდაცვის ანალიზის, პოლიტიკას და უსაფრთხოების საკითხებს. პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას; თავდაცვის ანალიზით დაინტერესებული პირებისა და ამ მიმართულებით მომუშავე ექსპერტებისთვის, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო

ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის, კომუნიკაციის უახლესი საშუალებების გამოყენებით;

- თავდაცვის ანალიზისა და ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების არგუმენტირებულად განხილვას; რეკომენდაციების გასაცემად და მათ სისწორეში დასარწმუნებლად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;
- პროფესიული და ანალიტიკური საკითხების შესახებ დეტალური წერილობითი მოხსენების მომზადებას,
- თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე დებატების დროს საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად ფორმულირებას და არგუმენტირებულ დაცვას.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის პროცესის თანმიმდევრულად წარმართვას და შემდგომი სასწავლო მოთხოვნების დამოუკიდებლად განსაზღვრას;
- საკუთარი ცოდნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას;
- სწავლის პროცესში კონკრეტული ნაკლოვანებების განსაზღვრას და მათ აღმოსაფხვრელად ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადებას.

ღირებულებები

კურსდამთავრებული შეძლებს:

- პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას პიროვნული თვისებების (აკურატულობა, პუნქტუალობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ა.შ.) საფუძველზე;
- ქვეყნის ინტერესების სამსახურში დგომას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებით;
- სხვისი აზრის პატივისცემას დებატებში მონაწილეობისას;
- ზოგადი ადამიანური ღირებულებების განსაზღვრასა და გაანალიზებას, სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის პატივისცემას, გლობალიზაციის ახალი ეპოქისთვის დამახასიათებელი ღირებულებების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღებას.
- ღირებულებების მიმართ საკუთარი დასხვისი დამოკიდებულებების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექცია, დისკუსია/დებატები, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მუშაობააუდირების მეთოდი, თანამშრომლობითი სწავლება, წყვილებში მუშაობა, ჯგუფში მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კრედიტების მოცულობა: 60

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის II მუხლის 335 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილი წესით.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

1. აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 23 წელი;
2. აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ ტესტს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი; ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი; ოსური ენის ტესტი და აფხაზური ენის ტესტი. (საქართველოს მოქალაქეები). აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი). უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვა ხორციელდება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 5-ის და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
3. აბიტურიენტებმა წარმატებით უნდა გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, გაიარონ სამედიცინო შემოწმება და წარმოადგინონ ყველა მოთხოვნილი საბუთი განსაზღვრულ ვადაში.

ენობრივი დონის განსაზღვრა

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება ენობრივი დონის განმსაზღვრელი გამოცდა; საგამოცდო მასალის(ტესტის)შერჩევას უზრუნველყოფს ენობრივი მომზადების განყოფილება; საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად(ოთხივე მიმართულებით)განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (A და B ბლოკები) ჯგუფებში.

A ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს, მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიურ დახმარებას; B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებზეა გათვლილი (B1 და მეტი).

პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას .

პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი მსმენელებისათვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა B2 დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე, გამოუმუშავდეთ ლექსიკური მარაგის, სწორი მორფოლოგიური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების აგების უნარი; სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად ენობრივი ფორმების გამოყენების უნარი; ტექსტის გაგების, კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის სათანადო სტრატეგიების გამოყენების უნარი; ქართული ენის გამოყენებით ქართულ გარემოში ორიენტირების უნარი;

შეძლონ ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია როგორც სახელმწიფო ენის სწავლება, ასევე არაქართულენოვანი მსმენელებისთვის თავდაცვის ძალებში ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის ხელშეწყობა.

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ენის პრაქტიკულად გამოყენება მთელი რიგი ვერბალური და წერიტი მიზნებისათვის; სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა, წაკითხვა, გაგება, ანალიზი; შესწავლილი ლექსიკური მარაგის გამოყენება.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა იცის:

ქართული ენის სტრუქტურა,(ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ერკვევა მათ საერთო ნიშნებში, სტრუქტურაში;

იცის კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანი ენობრივი ფორმები, მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის ძირითადი სტრატეგიები, გრამატიკული კონსტრუქციები და მათი შემადგენელი ერთეულების ფუნქცია;

ქართული ენის ლექსიკური მარაგი და გავრცელებული გამოთქმები,ლექსიკოლოგიის ელემენტები, სამხედრო ტერმინოლოგია; საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო და სამწყობრო წესდების ტერმინოლოგიის ელემენტები. შეუძლია მოსმენილი ტექსტის შინაარსის გაგება;

სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობის ძირითადი პრინციპები, ინტერპრეტაცია, ტექსტის სტრუქტურა და მის ნაწილებს შორის კავშირი;

ქართული ენის გრამატიკის ორთოგრაფია და მართლწერის წესები;

სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით საქმიანი წერილების და დოკუმენტების შედგენა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

მოსმენა

მისთვის აქტუალურ თემაზე საჯარო გამოსვლის მოსმენა და გაანალიზება. სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გაგება,ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით; მოსაუბრეთა ემოციის ამოცნობა და მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

კითხვა

მხატვრული და სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის გაგება; წაკითხულ ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; წაკითხული ტექსტის მიზნის ამოცნობა; ლექსიკის ზოგადი ფონდის გამდიდრება ლექსიკონის გამოყენებით; სამხედრო დავალებებთან პირობების, ინსტრუქციების წაკითხვა და გაგება, სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაანალიზება.ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენება.

სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება. ტექსტის შესწავლის მიზნით სათანადო სტრატეგიების გამოყენება. ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის გაანალიზება.

ლაპარაკი

ორიენტაცია ქართულენოვან გარემოში, სხვადასხვა თემატიკაზე საუბარი, ინტერაქციაში წინასწარ მომზადების გარეშე მონაწილეობის მიღება, მისთვის საინტერესო თემაზე წინასწარ მომზადების გარეშე გაბმულად საუბარი, პრობლემურ საკითხზე არგუმენტირებულად მსჯელობა, შესაბამისი ენობრივი საშუალებების ფუნქციურად გამოყენება, კითხვების დასმა და მისთვის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა; მოსმენილი ტექსტის თემის აღქმა, ინფორმაციის მოკლედ და თანმიმდევრულად გადმოცემა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, შესწავლილი ენობრივი საშუალებების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციებში. სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით წინადადებების აგება; სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

წერა

სასწავლო ან სამეცნიერო მასალის დამუშავების მიზნით ტექსტის დაწერა. კონსპექტის შედგენა, რეზიუმეს, რეფერატის დაწერა; სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა, საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა, საანკეტო მონაცემების შევსება, CV-ს და ბიოგრაფიის შექმნა, არგუმენტირებული ესეს დაწერა. შეძლებს დაიცვას წერილობითი მხატვრული და არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა, ფუნქციურად გამოიყენოს შესაბამისი ენობრივი საშუალებანი. მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით მხატვრული ტექსტის შექმნა. წერის პროცესის ყველა ეტაპზე შედეგის გასაუმჯობესებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

შესწავლილი საკითხების, მოსაზრებების შედარება, ანალიზი, მსგავსებისა და განსხვავებების დანახვა; პროგრამის დასრულების შემდეგ მას ექნება არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, დასკვნის ზეპირად და წერილობით ჩამოყალიბების უნარი;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია :

კომუნიკაცია სასწავლო პროცესში და ნებისმიერ საზოგადოებაში, სხვისი აზრის მოსმენა,

დისკუსიაში მონაწილეობა, კითხვებზე პასუხის გაცემა, მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მოპოვება და გაცვლა, ზეპირი და წერილობითი ტექსტის ადეკვატურად გაგება და შექმნა, შესწავლილი ლექსიკური მარაგის გამოყენება, გამომუშავებული მეტყველების ჩვევების გამოყენებით ინფორმაციის ლოგიკურად ჩამოყალიბება და გადმოცემა.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა; ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება;

საკუთარ თავზე დამოუკიდებლად მუშაობა და პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფა;

პროექტის განხორციელების ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას. წარმატებული სწავლების ხელშესაწყობად და ენის ათვისების გასაადვილებლად გამომუშავებული აქვს სტრატეგიული უნარ-ჩვევები.

კურსდამთავრებულს შეუძლია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

ღირებულებები

კურსდამთავრებული შეძლებს:

ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობას, დაფასებას და პატივისცემას.